Tbilisi State Medical University
Digitally signed by Tbilisi State Medical University
Date: 2021.10.19 15:17:19 +04'00'

სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თბილისი 19 ოქტომბერი 2021 წ.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
მ. წაქაძე

სატენდერო კომისიის წევრები:
გ.მაღლაკელიძე, ქ. ზოზიაშვილი, თ. ხორხელი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
გ. ბაქრაძე თ. ქავთარაძე ნ. წივილაშვილი

დღის წესრიგი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ, 2021 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები (CPV 45310000) (პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი ბაქრაძის #11/3116 07.10.2021წ. მოხსენებითი ბარათების საფუძველზე) შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო განცხადების, ასევე, ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა თ. ქავთარაძემ კომისიის წევრებს გადასცა 2021 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები (CPV 45310000) შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო განცხადების ტექსტი და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი, სადაც სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება #52 და დადგენილება #55-ის საფუძველზე, 1984 წლის ნორმებითა და მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გაცემული სამშენებლო რესურსების ფასებით 2021 წლის III კვარტლის ფასებით, (აგრეთვე მეთოდური ცნობარით (მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ). სატენდერო წინადადების სავარაუდო ფასი შეადგენს 8085.00 ლარს.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრმა გ. მაღლაკელიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი მისაღებია. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა სატენდერო კომისიის ყველა წევრი.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი (ხელშეკრულების პროექტი, დეფექტური აქტი, ხარჯთაღრიცხვა).

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: მ. წაქაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

გ.მაღლაკელიძე

ქ. ზოზიაშვილი

თ. ხორხელი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

გ. ბაქრაძე

თ. ქავთარაძე

ნ. წივილაშვილი

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

1. სარემონტო სამუშაოები უნდა შესრულდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დეფექტური აქტის მოცემული სამუშაოების, მოცულობების და პირობების შესაბამისად;

2. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ექსპლუატაციაში არმყოფი (თუ ხარჯთაღრიცხვით სხვა რამ არ არის განსაზღვრული) მაღალი ხარისხის, ქარხნული წარმოების და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს;

3. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია 2 (ორი) დღის ვადაში წარმოადგინოს გამოსაყენებელ მასალებზე შესაბამისი სერთიფიკატ(ებ)ი (ISO ან CE სერტიფიკატი);

4. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული გამოსაყენებელი მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა, მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი, წარმოადგინოს შემსყიდველისათვის მისაღები სხვა მასალა, მოწყობილობა და ა. შ.;

5. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური თვალსაზრისით დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;

6.ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, კლინიკა სამუშაოების შესრულების დროს განაგრძობს ფუნქციონირებას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ სამუშაოების წარმოების დროს.

7. მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა;

8. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოებში დასაქმებული პერსონალის შრომის უსაფრთხოება და აწარმოოს სამუშაოები აღნიშნული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;

9. ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს;

10. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს შესახებ შედგენილი ფორმა N2, შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენის მიზნით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა. ((ექსპერტიზის დასკვნას/ინსპექტირების ანგარიში) დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი) და ფარული სამუშაოების აქტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული კონტროლის/ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ, რომლითაც დადასტურებული იქნება შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება;

11. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოს დასრულებისთანავე, წერილობით აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ.

ხარჯთაღრიცხვა (დანართი #1) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც Microsoft Excel-ის ფორმატში, ასევე PDF ფორმატის სახით;

პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა უნდა წარმოადგინოს, ლოკალურ-რესურსული მეთოდით დამუშავებული, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის 55 დადგენილებით, ტექნიკური რეგლამენტი - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური

დეფექტური აქტი.xlsx

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

ხარჯთაღიცხვა.xlsx

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

თბილისი, გუდამაყრის ქ. #4 (პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა)

1.6 მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა

1.6.1 შესასრულებელი სამუშაოების საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 წელს (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან).

1.6.2. მიმწოდებელს ევალება საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა (შეკეთება, შეცვლა ახლით), ასევე აღნიშნული სამუშაოების შესრულების პროცესში და საგარანტიო პერიოდში უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა.

1.6.3 გარანტიის პერიოდში აღმოჩენილი დეფექტებთან დაკავშირებით შედგება დეფექტური აქტი, და განისაზღვრება გონივრული ვადა სამუშაოს შესასრულებლად

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

არა

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

ის დოკუმენტები ან/და ინფორმაცია, რაც მოთხოვნილია სატენდერო დოკუმენტაციით.

დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

პრეტენდენტმა, მის მიერ შექმნილი, წინადადების სახით წარსადგენი დოკუმენტები უნდა დაამოწმოს, დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (ექსპერტიზის დასკვნა/ინსპექტირების ანგარიში), რომელშიც ტექსტობრივად მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბრის N439 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკის" მოთხოვნებთან დასკვნის შესაბამისობა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). წარმოდგენილი დასკვნით უნდა დასტურდებოდეს პრეტენდენტის მიერ ატვირთულ სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში (სატენდერო წინადადების საბოლოო ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (შესაბამისი ტენდერის უნიკალური ნომრის მითითებით)) დაფიქსირებული ერთეულის ფასებით (თითოეულ ერთეულთან მიმართებით) და აგრეთვე ჯამური ღირებულებით ამავე ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა. დასკვნას თან უნდა ერთვოდეს კოკალურ-რესურსული მეთოდით შედგენილი ხარჯთაღრიცხვა.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

სამუშაოს შესრულების შემთხვევაში - მიღება–ჩაბარების აქტის, ექსპერტიზით დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ფორმა #2 და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება განხორციელდება, მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

თამარ ქავთარაძე, 595307180, clinikkavtaradze@gmail.com ტელ.: 2 61 01 01 (311).

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით: გიორგი ბაქრაძე 599891900

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების შესაბამისად.

ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი.

პრეტენდენტი ვალდებულია, მის მიერ შექმნილი, წინადადების სახით წარსადგენი დოკუმენტები (მაგ., ფასების ცხრილი, ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, საგარანტიო პირობები და ა.შ.). დაადასტუროს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და დაამოწმოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

შემსყიდველი მხარე დამატებით განმარტავს (სატენდერო წინადადების 7.3. მუხლის მიზნებისთვის, რომ თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები, რომლის ძირითად წილს შეადგენს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული თანხები.

▽ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

თსსუ–ს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ელ. მომარაგების სამუშაოები

დეფექტური აქტი

დანართი #1

№	შიფრი	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	ნორმა ერ-ზე	რაოდე-ნობა	მასალები		ხელფასი (ლ)		სამშენებლო მექანიზმები და მანქანები		სულ
						ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	(ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
		ნაწილი I საამშენებლო სამუშაოები										
1	**СНиП** IV-2-82 1-78-3	**მიწის დამუშავება თხრილში ხელით კაბელის გასაყვანად**	**მ3**		**6.30**		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	2.78	17.51		0.00		0.00		0.00	0.00
2	**СНиП** IV-2-82 23-1-1	**ქვიშის საფარის მოწყობა კაბელის ქვეშ**	**მ3**		**1.80**		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.80	3.24		0.00		0.00		0.00	0.00
		ქვიშა	მ3	1.10	1.98		0.00		0.00		0.00	0.00
3	**СНиП** IV-2-82 1-81-3	**მიწის უკუჩაყრა თხრილში**	**მ3**		**4.50**		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.21	5.45		0.00		0.00		0.00	0.00
4	**СНиП** IV-2-82 46-18-8	**ბეტონის 40 სმ კედელში ხვრელების მოწყობა**	**ც**		**2.00**		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.60	3.20		0.00		0.00		0.00	0.00
		მანქანები	ლარი	0.98	1.96		0.00		0.00		0.00	0.00
							0.00		0.00		0.00	0.00
		ჯამი					**0.00**		**0.00**		**0.00**	**0.00**
		ზედნადები ხარჯები	10%									**0.00**

		ჯამი										0.00
		გეგმიური მოგება	8%									0.00
		I ნაწილის ჯამი										0.00
		ნაწილი II ელ.სამონტაჟო სამუშაოები										
1	8-612-12	ელ.გამანაწილებელი ფარის მონტაჟი 400*600*250	ც		1.00		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	5.25	5.25		0.00		0.00		0.00	0.00
		მანქანები	ლარი	0.16	0.16		0.00		0.00		0.00	0.00
		ელ.გამანაწილებელი ფარიი 400*600*250	ც	1.00	1.00		0.00		0.00		0.00	0.00
		სხვა მასალა	~~ლარი~~	~~1.60~~	~~1.60~~		~~0.00~~		0.00		0.00	0.00
2	8-400-2	ელ.კაბელების გაყვანა	გ.მ		130.00		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0.44	57.20		0.00		0.00		0.00	0.00
		მანქანები	ლარი	0.28	36.66		0.00		0.00		0.00	0.00
		კაბელი სპილენძის 5*25 მმ	გ.მ		50.00		0.00		0.00		0.00	0.00
		კაბელი სპილენძის 4*25 მმ	გ.მ		40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		კაბელი სპილენძის 1*25 მმ (დამიწების)	გ.მ		40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		ბუნიკი 25	ც		20.00		0.00		0.00		0.00	0.00
		კაბელის მილის სამაგრი	ც		40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		სხვა მასალა	ლარი	0.15	19.24		0.00		0.00		0.00	0.00
3	8-418-6	გოფრირებილი დ=50 მმ მილის მონტაჟი	გ.მ		40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0.12	4.80		0.00		0.00		0.00	0.00
		მანქანები	ლარი	0.00	0.16		0.00		0.00		0.00	0.00
		გოფრირებილი დ=50 მმ მილი ფასონური ნაწილები	გ.მ	1	40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		სხვა მასალა	ლარი	0.04	1.58		0.00		0.00		0.00	0.00
4	8-156-3	კაბელების განხოლოვება და მიერთება ელ.ავტომატებზე	ც		10.00		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.00	10.00		0.00		0.00		0.00	0.00
		სხვა მასალა	ლარი	1.05	10.50		0.00		0.00		0.00	0.00
							0.00		0.00		0.00	0.00
		ჯამი					0.00		0.00		0.00	0.00
		ზედნადები ხარჯები მონტაჟის ღირებულებაზე	75%									0.00
		ჯამი										0.00

		გეგმიური მოგება	8%									0.00
		II ნაწილის ჯამი										0.00
		ჯამი I და II ნაწილების										0.00
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%									0.00
		ჯამი										0.00
		დ.ღ.გ.	18%									0.00
		ჯამი										0.00

თსსუ–ს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ელ. მომარაგების სამუშაოები

ხარჯთაღრიცხვა

№	შიფრი	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	ნორმა ერ-ზე	რაოდე-ნობა	მასალები		ხელფასი (ლ)		სამშენებლო მექანიზმები და მანქანები		სულ
						ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	(ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
		ნაწილი I საამშენებლო სამუშაოები										
1	**СНиП IV-2-82 1-78-3**	**მიწის დამუშავება თხრილში ხელით კაბელის გასაყვანად**	**მ3**		**6.30**		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	2.78	17.51		0.00		0.00		0.00	0.00
2	**СНиП IV-2-82 23-1-1**	**ქვიშის საფარის მოწყობა კაბელის ქვეშ**	**მ3**		**1.80**		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.80	3.24		0.00		0.00		0.00	0.00
		ქვიშა	მ3	1.10	1.98		0.00		0.00		0.00	0.00
3	**СНиП IV-2-82 1-81-3**	**მიწის უკუჩაყრა თხრილში**	**მ3**		**4.50**		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.21	5.45		0.00		0.00		0.00	0.00
4	**СНиП IV-2-82 46-18-8**	**ბეტონის 40 სმ კედელში ხვრელების მოწყობა**	**ც**		**2.00**		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.60	3.20		0.00		0.00		0.00	0.00
		მანქანები	ლარი	0.98	1.96		0.00		0.00		0.00	0.00
							0.00		0.00		0.00	0.00
		ჯამი					**0.00**		**0.00**		**0.00**	**0.00**
		ზედნადები ხარჯები	10%									**0.00**
		ჯამი										**0.00**
		გეგმიური მოგება	8%									**0.00**

		I ნაწილის ჯამი										0.00
		ნაწილი II ელ.სამონტაჟო სამუშაოები										
1	8-612-12	ელ.გამანაწილებელი ფარის მონტაჟი 400*600*250	ც		1.00		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	5.25	5.25		0.00		0.00		0.00	0.00
		მანქანები	ლარი	0.16	0.16		0.00		0.00		0.00	0.00
		ელ.გამანაწილებელი ფარიი 400*600*250	ც	1.00	1.00		0.00		0.00		0.00	0.00
		სხვა მასალა	ლარი	1.60	1.60		0.00		0.00		0.00	0.00
2	8-400-2	ელ.კაბელების გაყვანა	გ.მ		130.00		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0.44	57.20		0.00		0.00		0.00	0.00
		მანქანები	ლარი	0.28	36.66		0.00		0.00		0.00	0.00
		კაბელი სპილენძის 5*25 მმ	გ.მ		50.00		0.00		0.00		0.00	0.00
		კაბელი სპილენძის 4*25 მმ	გ.მ		40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		კაბელი სპილენძის 1*25 მმ (დამიწების)	გ.მ		40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		ბუნიკი 25	ც		20.00		0.00		0.00		0.00	0.00
		კაბელის მილის სამაგრი	ც		40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		სხვა მასალა	ლარი	0.15	19.24		0.00		0.00		0.00	0.00
3	8-418-6	გოფრირებილი დ=50 მმ მილის მონტაჟი	გ.მ		40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0.12	4.80		0.00		0.00		0.00	0.00
		მანქანები	ლარი	0.00	0.16		0.00		0.00		0.00	0.00
		გოფრირებილი დ=50 მმ მილი ფასონური ნაწილები	გ.მ	1	40.00		0.00		0.00		0.00	0.00
		სხვა მასალა	ლარი	0.04	1.58		0.00		0.00		0.00	0.00
4	8-156-3	კაბელების განხოლოვება და მიერთება ელ.ავტომატებზე	ც		10.00		0.00		0.00		0.00	0.00
		შრომის დანახარჯი	კაც/სთ	1.00	10.00		0.00		0.00		0.00	0.00
		სხვა მასალა	ლარი	1.05	10.50		0.00		0.00		0.00	0.00
							0.00		0.00		0.00	0.00
		ჯამი					0.00		0.00		0.00	0.00
		ზედნადები ხარჯები მონტაჟის ღირებულებაზე	75%									0.00
		ჯამი										0.00
		გეგმიური მოგება	8%									0.00
		II ნაწილის ჯამი										0.00

		ჯამი I და II ნაწილების										0.00
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%									0.00
		ჯამი										0.00
		დ.ღ.გ.	18%									0.00
		ჯამი										0.00

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება სატენდერო დოკუმენტაციისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ხელშეკრულება №---

ქ. თბილისი ----- ---------- 20 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თსსუ-ს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, მდებარე: ქ.თბილისი, გუდამაყრის ქ. N4 (შემდგომში, „შემსყიდველი"),--- ---------- სახით და მეორეს მხრივ ----------, მდებარე: ----------, ---------- (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ---------- სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT ----------) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტია: ----------

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისთვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ **15** კალენდარული დღის განმავლობაში..

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ---------- მისამართზე: ----------

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ---------- ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.3 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა _____ თვე მიწოდების დღიდან.

6.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია, წერილობითი ფორმით, დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“ ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.5 შეტყობინების მიღების შემდეგ, „მიმწოდებელი“ ვალდებულია, შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები, საკუთარი ხარჯით ან ჩაანაცვლოს ახლით. მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.6 თუ „მიმწოდებელი“, ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ, არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4 ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება, შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი(ებ)ის წარდგენისას, კერძოდ:

სამუშაოს შესრულების შემთხვევაში - მიღება–ჩაბარების აქტის, ექსპერტიზით დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ფორმა #2 და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- უარი თქვას უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- გააფრთხილოს „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.6 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს „მიმწოდებელს“ საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,2 (ნული მთელი ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
9.7 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების 5.1. მუხლის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან განახორციელოს იმ დროისთვის არსებული პირგასამტეხლოს თანხის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე.
9.8 9.7 მუხლის გამოუყენებლობა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლოს გადახდა.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება, ხელშეკრულების პირობებში, არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარეშე.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 11.3 ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, პანდემია, ეპიდემია, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: ----------.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა, ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის, უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ, ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე, იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა
მისამართი: ქ. თბილისი, გუდამაყრის ქუჩა N4
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

„მიმწოდებელი“

საიდენტიფიკაციო ნომერი ----------
--
სს ----------, კოდი ----------
--
ა/ა ----------
--

გენერალური დირექტორი

_____

დირექტორი

_____